ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 20 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 2 სთ.

ყოველი ტესტი ფასდება 1 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება დაუშვებელია.

## ბილეთი №1

ამოირჩიეთ ერთი სწორი პასუხი ქვემორე ტესტებიდან:

### ტესტები

**№1**

მოძრავ ნივთებს განეკუთვნება:

ა) ფული, ფასიანი ქაღალდი.
ბ) საზღვაო და სამდინარო ხომალდი.
გ) საჰაერო ხომალდი.
დ) კოსმოსური ობიექტი.

**№2**

ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი ხასიათდება ნიშნებით, რომლებიც საშუალებას იძლევა, განსხვავდეს:

ა. იგი სხვა ნივთებისაგან.
ბ. მასით.
გ) რიცხვით.
დ) ზომით.

**№3**

გვაროვნული ნივთი ხასიათდება ნიშნებით:

ა) რომლებიც ნივთის დაღუპვისას შეუძლებელს ხდის ვალდებულების ნატურით შესრულებას.
ბ) რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, განსხვავდეს ნივთი სხვა ნივთებისაგან.
გ) რომლებიც საერთოა მოცემული გვარის ყველა ნივთისათვის.
დ) ყველა ნიშნით, რომლებიც მითითებულია „ა" და „ბ" პუნქტებში.

**№4**

არამოხმარებად ნივთებს განეკუთვნება ნივთები, რომლებიც:

ა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიდი ხნის განმავლობაში არსებითი ცვლილების გარეშე.
ბ) ერთჯერადი გამოყენების შედეგად გადადის ერთი თვისებიდან მეორეში (მაგალითად, სალებავები).
გ) ერთჯერადი გამოყენების შედეგად მთლიანად ქრება (მაგალითად, კვების პროდუქტი).
დ) ერთჯერადი გამოყენების შედეგად გადადის ნივთების სხვა სახეობაში (მაგალითად, ნავთობი – ბენზინში, მაზუთში).

№5

გაყოფადია ნივთი, რომელიც:

ა) გაყოფის შედეგად არ იცვლის თავის თავდაპირველ დანიშნულებას.

ბ) გაყოფის შედეგად კარგავს თავის თავდაპირველ დანიშნულებას.

გ) ფიზიკურად სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ ამ ტიპის ნივთები ერთმანეთთან არის საერთო სამეურნეო დანიშნულებით დაკავშირებული (მაგალითად, ავეჯის გარნიტური).

დ) ფიზიკურად სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ განსაზღვრულია მოქალაქეთა მეცნიერული და სულიერი განვითარებისათვის (მაგალითად, სპეციალური ბიბლიოთეკა).

№6

რთული ნივთები განუყოფად ნივთებს მიეკუთვნება, თუ:

ა) გამოიყენება საერთო დანიშნულებით (მაგალითად, ჩაის სერვიზი).

ბ) ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო სამომხმარებლო დანიშნულებით (მაგალითად, კვების პროდუქტები).

გ) ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო საწარმოო დანიშნულებით (მაგალითად, სამშენებლო აგურები).

დ) გამოყენების შედეგად შეიძლება გადავიდეს ნივთების სხვა სახეობაში (მაგალითად, ნავთობი – ბენზინში).

№7

ნივთი, რომლის დანიშნულებაა სხვა, მთავარი ნივთის მომსახურება, იწოდება:

ა) საკუთვნებელ ნივთად.

ბ) ნივთის შემადგენელ ნაწილად.

გ) ნივთის დამატებით ნაწილად.

დ) ნივთის სათადარიგო ნაწილად.

№8

ფული განეკუთვნება:

ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთების კატეგორიას.

ბ) გვარეობით, შეცვლად და გაყოფად ნივთებს.

გ) გვარეობით და რთულ ნივთებს.

დ) არამოხმარებად ნივთებს.

№9

ნაღდი ფულის ბრუნვაში შემოტანისა და ბრუნვიდან ამოღების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის:

ა) საქართველოს ეროვნულ ბანკს.

ბ) საქართველოს მთავრობას.

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

დ) საქართველოს პრეზიდენტს.

№10

ფასიან ქაღალდად ჩაითვლება დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქონებრივ უფლებებს და:

ა) რომელიც შეესაბამება დადგენილ ფორმას.

ბ) რომელშიც მოცემულია ყველა აუცილებელი რეკვიზიტი.

გ) რომელშიც მითითებული უფლებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მისი წარდგენის შემთხვევაში.

დ) რომელსაც აქვს „ა“ და „გ“ პუნქტებში მითითებული ყველა თვისება.

№11

უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარება უნდა მოხდეს, როცა:

ა) პირის ადგილსამყოფელი უცნობია.

ბ) პირი თავის საცხოვრებელ ადგილას არ ყოფილა ორი წლის მანძილზე.

გ)იგი დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა.

დ) ერთად აღებული „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

№12

სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ურთიერთობები გამოირჩევა შემდეგი ნიშნებით:

ა) მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს.

ბ) ექვემდებარება ზუსტ (ფულად) შეფასებას.

გ) მათი განხორციელება ყოველთვის სასყიდლიანია.

დ) მათ განხორციელებას შეესაბამება ქონებრივი ეკვივალეტი სხვა პირის მხრივ.

№13

ფიზიკური პირის არამატერიალური სიკეთე, რომელიც მას დაბადებიდან ან კანონის ძალით ეკუთვნის:

ა) შეიძლება დაეთმოს სხვა პირს.

ბ) განუსხვისებადია და არ გადაიცემა სხვა გზით.

გ) შეიძლება გაჩუქდეს ან გაიყიდოს სხვა პირზე.

დ) შეიძლება გაიცეს გირაოდ.

№14

პირად უფლებებს, რომლებიც ფიზიკურ მთლიანობას უზრუნველყოფს, განეკუთვნება:

ა) უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, უფლება პატივსა და ღირსებაზე.

ბ) უფლება სამედიცინო საიდუმლოებაზე, უფლება მიმოწერის საიდუმლოებაზე.

გ) უფლება საქმიან რეპუტაციაზე, უფლება სატელეფონო საუბრების საიდუმლოებაზე.

დ) უფლება, სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოზე.

№15

პირად უფლებებს, რომლებიც პიროვნების ინდივიდუალიზაციას უზრუნველყოფს, განეკუთვნება:

ა) სახელის უფლება, უფლება პატივზე, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციაზე.

ბ) უფლება ჯანმრთელობაზე, პირად თავისუფლებაზე, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობაზე.

გ) უფლება მიმოწერის საიდუმლოებაზე, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოებაზე.

დ) უფლება ჯანსაღ გარემოზე, უფლება პირად თავისუფლებაზე.

№16

პირად უფლებებს, რომლებიც პიროვნების ავტონომიას უზრუნველყოფს, განეკუთვნება:

ა) უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, უფლება სახელზე.

ბ) უფლება პატივსა და ღირსებაზე, საქმიან რეპუტაციაზე.

გ) უფლება სამედიცინო საიდუმლოებაზე, უფლება მიმოწერის საიდუმლოებაზე, სატელეფონო საუბრებსა და სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოებაზე.

დ) უფლება სიცოცხლეზე, უფლება ჯანმრთელობაზე, ჯანსაღ გარემოზე.

№17

ფიზიკურ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ხელყოფს:

ა) ადგილს, სადაც მისი სახლი მდებარეობს.

ბ) მის ღირსებას, პატივს, საქმიან რეპუტაციას.

გ) მის ჯანმრთელობას.

დ) მის სამუშაო ადგილს.

№18

ფიზიკურ პირს, ვის მიმართაც გავრცელებულია მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) ჯარიმის გადახდა თავის სასარგებლოდ.

ბ) ჯარიმის გადახდა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

გ) მორალური ზიანისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

დ) არა მხოლოდ ზარალის ანაზღაურება, არამედ ჯარიმის გადახდა მის სასარგებლოდ.

№19

საკუთარი სახელის ფლობის უფლებამოსილება ისაა, რომ ფიზიკურ პირს უფლება აქვს:

ა) შეიცვალოს გვარი და სახელი.

ბ) ჰქონდეს განსაზღვრული სახელი, რომელიც სამოქალაქო აქტების ჩამწერ ორგანოშია დარეგისტრირებული.

გ) დაფაროს საკუთარი სახელი, ანონიმურად გამოვიდეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

დ) მისცეს სხვა პირებს ნებართვა, ისარგებლონ მისი სახელით სათანადო სასყიდლით.

№20

სასამართლოს შეუძლია პირი აღიაროს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას:

ა) ერთი წლის მანძილზე.

ბ) ორი წლის მანძილზე.

გ)ხუთი წლის მანძილზე.

დ) 6 თვის მანძილზე.

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 20 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 2 სთ.

## ბილეთი №2

ყოველი ტესტი ფასდება 1 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება დაუშვებელია.

შემოხაზეთ სწორი პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილი ტესტებიდან:

### ტესტი I

რომელი საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ფორმაა სამოქალაქო სამართალი?

ა) ფაქტობრივი.
ბ) ადმინისტრაციული.
გ) პოლიტიკური.
დ) დისციპლინური.

### ტესტი II

სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის დარგი, სამართლის ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს:

ა) ფინანსურ ურთიერთობებს.
ბ) ქონებრივ, პირად, საოჯახო ურთიერთობებს.
გ) საგადასახადო ურთიერთობებს.
დ) დისციპლინურ ურთიერთობებს.

### ტესტი III

ქონებრივი ურთიერთობაა:

ა) ურთიერთობა ადამიანისა ქონებასთან.
ბ) ურთიერთობა ადამიანისა ნივთთან;
გ) ურთიერთობა პირებს შორის ქონებრივი სიკეთეების გამო.
დ) კავშირი ნივთებს შორის.

### ტესტი IV

სამოქალაქოსამართებრივ ურთიერთობებს განეკუთვნება:

ა) ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც ურთიერთდაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის წარმოიშობა.
ბ) ქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც თანასწორ სუბიექტთა შორის წარმოიშობა.
გ) პირადი ურთიერთობები.
დ) მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებული კერძო ხასიათის ქონებრივი, პირადი და საოჯახო ურთიერთობები.

### ტესტი V

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა ნიშნავს:

ა) ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებები დამოკიდებულია მათ მატერიალურ და სოციალურ უთანასწორობაზე.

ბ) ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებები ორგანიზაციულ-ნებელობითი თვალსაზრისით დამოკიდებულია ერთმანეთზე.

გ) ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის თანაბარ საფუძვლებს.

დ) სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისთვის სამოქალაქო უფლებების სუბიექტთა პასუხისმგებლობის თანაბრობას.

## ტესტი VI

**სამოქალაქო სამართლის პრინციპებია:**

ა) კანონიერება, ძალის გამოუყენებლობა.

ბ) კერძო ავტონომია, მხარეთა თანასწორობა, ქონებრივი განკერძოებულობა, უფლების განხორციელების კეთილსინდისიერება, ხელშეკრულების თავისუფლება,
აუკრძალავის დაშვებულობა.

გ) სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა, კანონიერება, კერძო ავტონომიის გამორიცხვა და სახელმწიფო ინტერესების განხორციელება, ხელისუფლებათა დანაწილება.

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

## ტესტი VII

**ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვებიან კანონის ამოქმედებამდე, კანონი გამოიყენება უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან:**

ა) კანონის ამოქმედებამდე.

ბ) კანონის ამოქმედების შემდეგ.

გ) კანონის ამოქმედების შემდეგ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

დ)ამოქმედების შემდეგ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

## ტესტი VIII

**კანონის ანალოგია გამოიყენება, თუ:**

ა) ურთიერთობები უშუალოდ მოწესრიგებულია მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

ბ) ურთიერთობები უშუალოდ მოწესრიგებული არ არის კანონმდებლობით ან შეთანხმებით, მაგრამ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

გ)ურთიერთობა უშუალოდ მოწესრიგებულია კანონით, არ არსებობს მხარეთა შეთანხმება, მაგრამ არის კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

დ) ურთიერთობა უშუალოდ მოწესრიგებული არ არის კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით და არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

## ტესტი IX

**სამართლის ანალოგია გამოიყენება, როცა:**

ა) არსებობს მსგავსი ურთიერთობების უშუალოდ მომწესრიგებელი კანონი და მხარეთა მისწრაფება, გვერდი აუარონ იმპერატიულ წესს, რომელიც მათგან განსაზღვრულ მოქმედებას ითხოვს.

ბ) არსებობს მხარეებს შორის მსგავსი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონი, რომლის გამოყენება ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნებს.

გ) შეუძლებელია კანონის ანალოგიის გამოყენება, რადგან არ არსებობს კანონი, რომელიც უშუალოდ მოაწესრიგებდა მხარეთა შორის სადავო ურთიერთობებს.

დ) არსებობს მსგავსი ურთიერთობების უშუალოდ მომწესრიგებელი კანონი, თუკი მისი გამოყენება არ ეწინააღმდეგება მხარეთა შორის სადავო ურთიერთობების არსს.

ტესტი X

**სამოქალაქო სამართლის წყაროებია იურიდიული ფორმები, რომელთა შინაარსია:**

ა) სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები.

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები.

გ)სასამართლო პრეცედენტები.

დ)ჩვეულებები.

ტესტი XI

**სამოქალაქო კანონმდებლობა შედგება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი:**

ა) სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან.

ბ) სამოქალაქო კოდექსის, კერძო სამართლის სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისგან.

გ)სამოქალაქო კოდექსისა და კერძო სამართლის სხვა კანონებისაგან.

დ)სამოქალაქო კოდექსისა და საგადასახადო კოდექსისაგან.

ტესტი XII

**კანონის მოქმედება ვრცელდება ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან:**

ა) მისი ამოქმედების შემდეგ.

ბ) მისი ამოქმედების შემდეგ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

გ)მისი ამოქმედების შემდეგ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

დ)მის ამოქმედებამდე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

ტესტი XIII

**დისპოზიციურია ნორმები, რომლებიც:**

ა) არ ზღუდავენ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს თავიანთ უფლებებში.

ბ) ზღუდავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს თავიანთ უფლებებში.

გ) ნებას რთავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს, შეცვალონ ეს წესები.

დ) ნებას არ რთავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს, შეცვალონ ეს წესები.

ტესტი XIV

**იმპერატიულია ნორმები, რომლებიც:**

ა) ნებას რთავენ სამოქალაქო ურთიერთობათა სუბიექტებს, შეასრულონ რამდენიმე მოქმედებიდან ერთი.

ბ) სარეკომენდაციო ხასიათისაა.

გ) აკრძალულებენ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს, განუხრელად შეასრულონ ეს ნორმები.

დ) ნებას რთავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს, შეცვალონ ისინი თავიანთი შეხედულებით.

## ტესტი XV

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობა შედის:

ა) საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობაში.

ბ) საქართველოს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობაში.

გ) საქართველოს, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს რაიონების, ქალაქების თვითმმართველობათა გამგებლობაში.

დ) მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაში.

## ტესტი XVI

ქონებრივ ურთიერთობების მიმართ, რომლებიც ემყარება ურთიერთობის ერთი მხარის ხელისუფლებით დაქვემდებარებას მეორე მხარისადმი, სამოქალაქო კანონმდებლობა, როგორც წესი, გამოიყენება:

ა) მხარეთა თანხმობით.

ბ) ყველა შემთხვევაში.

გ) არ გამოიყენება.

დ) ანალოგიით.

## ტესტი XVII

აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება:

ა) მოთხოვნები, შესაგებლები და პირადი უფლებები.

ბ) მხოლოდ აღმჭურველი უფლებები.

გ)მხოლოდ პირადი უფლებები.

დ)პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

## ტესტი XVIII

რელატიურ უფლებათა წრეში შედის:

ა) მოთხოვნები, შესაგებლები და აღმჭურველი უფლებები.

ბ) მხოლოდ აღმჭურველი უფლებები.

გ)მხოლოდ პირადი უფლებები.

დ)პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

## ტესტი XIX

პირველადი უფლებაა:

ა) საკუთრების შეძენა განძზე, ხანდაზმულობით და მოძრავი ნივთების შერწყმის ან გადამუშავების შედეგად.

ბ) საკუთრების შეძენა განძზე, ნასყიდობის საფუძველზე, კანონით მემკვიდრეობის დროს.

გ) მხოლოდ საკუთრების შეძენა ნასყიდობის საფუძველზე, კანონით მემკვიდრეობის დროს.

დ) მხოლოდ საკუთრების შეძენა განძზე.

### ტესტი XX

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:

ა) სრულწლოვანების მიღწევის დღიდან.

ბ) დაბადების მომენტიდან.

გ)ქორწინების მომენტიდან.

დ) დაბადების რეგისტრაციის მომენტიდან.

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 20 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 2 სთ.

ბილეთი №3

ყოველი ტესტი ფასდება 1 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება დაუშვებელია.

შემოხაზეთ სწორი პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილი ტესტებიდან:

ტესტები

№1

სამოქალაქო სამართლის წყაროებია იურიდიული ფორმები, რომელთა შინაარსია:

ა) სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები.

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებები.

გ)სასამართლო პრეცედენტები.

დ)ჩვეულებები.

№2

კანონის მოქმედება ვრცელდება ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან:

ა) მისი ამოქმედების შემდეგ.

ბ) მისი ამოქმედების შემდეგ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

გ)მისი ამოქმედების შემდეგ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

დ)მის ამოქმედებამდე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

№3

ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვებიან კანონის ამოქმედებამდე, კანონი გამოიყენება უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან:

ა) კანონის ამოქმედებამდე.

ბ) კანონის ამოქმედების შემდეგ.

გ) კანონის ამოქმედების შემდეგ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

დ)ამოქმედების შემდეგ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

№4

დისპოზიციურია ნორმები, რომლებიც:

ა) არ ზღუდავენ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს თავიანთ უფლებებში.

ბ) ზღუდავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს თავიანთ უფლებებში.

გ) ნებას რთავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს, შეცვალონ ეს წესები.

დ) ნებას არ რთავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს, შეცვალონ ეს წესები.

**№5**

**იმპერატიულია ნორმები, რომლებიც:**

ა) ნებას რთავენ სამოქალაქო ურთიერთობათა სუბიექტებს, შეასრულონ რამდენიმე მოქმედებიდან ერთი.

ბ) სარეკომენდაციო ხასიათისაა.

გ) ავალდებულებენ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს, განუხრელად შეასრულონ ეს ნორმები.

დ) ნებას რთავენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს, შეცვალონ ისინი თავიანთი შეხედულებით.

**№6**

**კანონის ანალოგია გამოიყენება, თუ:**

ა) ურთიერთობები უშუალოდ მოწესრიგებულია მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

ბ) ურთიერთობები უშუალოდ მოწესრიგებული არ არის კანონმდებლობით ან შეთანხმებით, მაგრამ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

გ)ურთიერთობა უშუალოდ მოწესრიგებულია კანონით, არ არსებობს მხარეთა შეთანხმება, მაგრამ არის კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

დ) ურთიერთობა უშუალოდ მოწესრიგებული არ არის კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით და არ არსებობს კანონი, რომელიც არეგულირებს მსგავს ურთიერთობებს.

**№7**

**საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობა შედის:**

ა) საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობაში.

ბ) საქართველოს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობაში.

გ) საქართველოს, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს რაიონების, ქალაქების თვითმმართველობათა გამგებლობაში.

დ) მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაში.

**№8**

**ქონებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც ემყარება ურთიერთობის ერთი მხარის ხელისუფლებით დაქვემდებარებას მეორე მხარისადმი, სამოქალაქო კანონმდებლობა, როგორც წესი, გამოიყენება:**

ა) მხარეთა თანხმობით.

ბ) ყველა შემთხვევაში.

გ)არ გამოიყენება.

დ) ანალოგიით.

**№9**

**აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება:**

ა) მოთხოვნები, შესაგებლები და პირადი უფლებები.

ბ) მხოლოდ აღმჭურველი უფლებები.
გ)მხოლოდ პირადი უფლებები.
დ)პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

№10

**სამოქალაქო უფლებაში იგულისხმება:**

ა) საქართველოს კანონმდებლობით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება.

ბ) საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი შესაძლებლობა, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია ვისიმე მოვალეობით.

გ) საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება, დაიცვას საკუთარი ინტერესები თვითონ.

დ) საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული ფაქტობრივი შესაძლებლობა.

№11

**აბსოლუტურია უფლება, რომელიც:**

ა) შეუზღუდავი ხასიათისაა, თუმცა შეიძლება გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში შეიზღუდოს.

ბ) მოქმედებს ნებისმიერი იმ მესამე პირის მიმართ, ვინც ამ უფლებას ხელყოფს.

გ) მოქმედებს მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ.

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

№12

**რელატიურ უფლებათა წრეში შედის:**

ა) მოთხოვნები, შესაგებლები და აღმჭურველი უფლებები.

ბ) მხოლოდ აღმჭურველი უფლებები.

გ)მხოლოდ პირადი უფლებები.

დ)პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

№13

**პირველადი უფლებაა:**

ა) საკუთრების შეძენა განძზე, ხანდაზმულობით და მოძრავი ნივთების შერწყმის ან გადამუშავების შედეგად.

ბ) საკუთრების შეძენა განძზე, ნასყიდობის საფუძველზე, კანონით მემკვიდრეობის დროს.

გ) მხოლოდ საკუთრების შეძენა ნასყიდობის საფუძველზე, კანონით მემკვიდრეობის დროს.

დ) მხოლოდ საკუთრების შეძენა განძზე.

№14

**ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:**

ა. სრულწლოვანების მიღწევის დღიდან.

ბ. დაბადების მომენტიდან.

გ)ქორწინების მომენტიდან.
დ) დაბადების რეგისტრაციის მომენტიდან.

№15

**ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება:**

ა) სასამართლოს მიერ მისი არაქმედუნარიანად აღიარების მომენტიდან.
ბ) სასამართლოს მიერ მისი გასამართლების მომენტიდან ჩადენილი სამართალდარღვევისთვის.
გ)მისი სიკვდილის მომენტიდან.
დ) მასზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების მომენტიდან.

№16

**პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკამდე, ქმედუნარიანად ითვლება:**

ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით.
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მშობლის ან მზრუნველის თანხმობის საფუძველზე.
გ)სასამართლოს გადაწყვეტილებით არასრულწლოვანის მოთხოვნის საფუძველზე.
დ) „ა", „ბ", „გ" პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების გარეშე.

№17

**არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება:**

ა) სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
ბ) ჩამოერთმევა მხოლოდ მისი თანხმობით.
გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.
დ) თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

№18

**უფლებაუნარიანობა არის პირის:**

ა) უფლებების კრებული.
ბ) ფიზიკური უნარი, განახორციელოს უფლებები და მოვალეობები.
გ)იურიდიული უნარი, იყოს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე.
დ) უნარი, საკუთარი ნებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

№19

**7-დან 18 წლამდე ასაკის პირი:**

ა) ქმედუუნაროა.
ბ) ნაწილობრივ ქმედუნარიანია.
გ) ნაწილობრივ ქმედუუნაროა.
დ) შეზღუდული ქმედუნარიანია.

№20

**ქონებრივი ურთიერთობა – ესაა:**

ა). ურთიერთობა ადამიანისა ქონებასთან.
ბ). ურთიერთობა ადამიანისა ნივთთან;
გ) ნებითი ურთიერთობა კონკრეტულ პირებს შორის ქონებრივი სიკეთეების ფლობისა თუ გადაცემის გამო.
დ) ნივთებს შორის კავშირი.

ფაკულტეტი: იურიდიული
საგანი: „შესავალი სამოქალაქო სამართალში"
პედაგოგის გვარი, სახელი: თევდორე ნინიძე
გამოცდის შეფასება: 20 ქულა
გამოცდის ხანგრძლივობა: 2 სთ.

ბილეთი №4

ყოველი ტესტი ფასდება 1 ქულით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება დაუშვებელია.

1. საკითხი

**შემოხაზეთ ქვემორე ტესტებიდან სწორი პასუხი:**

ტესტი I

**სამოქალაქო უფლებაში იგულისხმება:**

ა) საქართველოს კანონმდებლობით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება.

ბ) საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი შესაძლებლობა, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია ვისიმე მოვალეობით.

გ) საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება, დაიცვას საკუთარი ინტერესები თვითონ.

დ) საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისთვის მინიჭებული ფაქტობრივი შესაძლებლობა.

ტესტი II

**აბსოლუტურია უფლება, რომელიც:**

ა) შეუზღუდავი ხასიათისაა, თუმცა შეიძლება გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში შეიზღუდოს.

ბ) მოქმედებს ნებისმიერი იმ მესამე პირის მიმართ, ვინც ამ უფლებას ხელყოფს.

გ) მოქმედებს მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ.

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.

ტესტი III

**აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება:**

ა)მოთხოვნები, შესაგებლები და პირადი უფლებები.

ბ)მხოლოდ აღმჭურველი უფლებები.

გ)მხოლოდ პირადი უფლებები.

დ)პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

ტესტი IV

**რელატიურ უფლებათა წრეში შედის:**

ა. მოთხოვნები, შესაგებლები და აღმჭურველი უფლებები.

ბ. მხოლოდ აღმჭურველი უფლებები.

გ)მხოლოდ პირადი უფლებები.

დ)პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები და ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებები.

ტესტი V

**პირველადი უფლებაა:**

ა. საკუთრების შეძენა განძზე, ხანდაზმულობით და მოძრავი ნივთების შერწყმის ან გადამუშავების შედეგად.

ბ. საკუთრების შეძენა განძზე, ნასყიდობის საფუძველზე, კანონით მემკვიდრეობის დროს.

გ) მხოლოდ საკუთრების შეძენა ნასყიდობის საფუძველზე, კანონით მემკვიდრეობის დროს.

დ) მხოლოდ საკუთრების შეძენა განძზე.

ტესტი VI

**ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:**

ა. სრულწლოვანების მიღწევის დღიდან.

ბ. დაბადების მომენტიდან.

გ)ქორწინების მომენტიდან.

დ) დაბადების რეგისტრაციის მომენტიდან.

ტესტი VII

**ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება:**

ა) სასამართლოს მიერ მისი არაქმედუნარიანად აღიარების მომენტიდან.

ბ) სასამართლოს მიერ მისი გასამართლების მომენტიდან ჩადენილი სამართალდარღვევისთვის.

გ)მისი სიკვდილის მომენტიდან.

დ) მასზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების მომენტიდან.

ტესტი VIII

**პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკამდე, ქმედუნარიანად ითვლება:**

ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მშობლის ან მზრუნველის თანხმობის საფუძველზე.

გ)სასამართლოს გადაწყვეტილებით არასრულწლოვანის მოთხოვნის საფუძველზე.

დ) „ა", „ბ", „გ" პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების გარეშე.

ტესტი IX

**არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება:**

ა) სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

ბ) ჩამოერთმევა მხოლოდ მისი თანხმობით.

გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

დ) თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

ტესტი X

**საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამოქალაქო კანონმდებლობა შედის:**

ა) საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობაში.

ბ) საქართველოს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობაში.

გ) საქართველოს, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს რაიონების, ქალაქების თვითმმართველობათა გამგებლობაში.

დ) მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობაში.

ტესტი XI

**პირი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს, თუ 5 წლის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია:**

ა) მშობლებს.

ბ) მშობლებსა და ოჯახს.

გ)ცნობები არ მოიპოვება საცხოვრებელ ადგილას.

დ) სამსახურს.

ტესტი XII

**უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარება უნდა მოხდეს, როცა:**

ა. პირის ადგილსამყოფელი უცნობია.

ბ. პირი თავის საცხოვრებელ ადგილას არ ყოფილა ორი წლის მანძილზე.

გ)იგი დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა.

დ) ერთად აღებული „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

ტესტი XIV

**დისპოზიციურია ნორმები, რომლებიც:**

ა) სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ზღუდავს თავიანთ უფლებებში.

ბ) სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს არ ზღუდავს თავიანთ უფლებებში.

გ) ნებას რთავს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს, შეცვალონ ეს წესები.

დ) ნებას არ რთავს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს, შეცვალონ ეს წესები.

ტესტი XV

**იმპერატიულია ნორმები, რომლებიც:**

ა) სამოქალაქო ურთიერთობათა სუბიექტებს ნებას რთავს, შეასრულონ რამდენიმე მოქმედებიდან ერთი.

ბ) სარეკომენდაციო ხასიათისაა.

გ) ავალდებულებს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს, განუხრელად შეასრულონ ეს ნორმები.

დ) ნებას რთავს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს, შეცვალონ ისინი თავიანთი შეხედულებით.

ტესტი XVI

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა არის:

ა) საგადასახადო, ქონებრივი ურთიერთობები.

ბ) ქონებრივი, პირადი და საოჯახო ურთიერთობები.

გ) საფინანსო, ადმინისტრაციულიურთიერთობები.

დ) მხოლოდ პირადი ურთიერთობები.

ტესტი XVII

ფიზიკური პირი ქმედუნარიანობას იძენს:

ა) დაბადებისთანავე.

ბ) ასაკისა და ჯანმრთელობის გათვალისწინებით.

გ)ასაკის, ჯანმრთელობის, პოლიტიკური მდგომარეობისა და აღმსარებლობის გათვალისწინებით.

დ)ასაკის, ჯანმრთელობის, მოქალაქეობის, აღმსარებლობისა და სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

ტესტი XVIII

შვიდი წლის ასაკამდე ფიზიკური პირი:

ა) ქმედუნარიანია.

ბ) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

გ)ქმედუუნაროა.

დ) ქმედუუნაროა, მაგრამ უფლებამოსილია მიიღოს მის სასარგებლოდ განხორციელებული შეპირება.

ტესტი XIX

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა ნიშნავს:

ა. ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებები დამოკიდებულია მათ მატერიალურ და სოციალურ უთანასწორობაზე.

ბ. ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებები ორგანიზაციულ-ნებელობითი თვალსაზრისით დამოკიდებულია ერთმანეთზე.

გ) ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის თანაბარ საფუძვლებს.

დ) სამოქალაქოსამართლებრივი დარღვევისთვის სამოქალაქო უფლებების სუბიექტთა პასუხისმგებლობის თანაბრობას.

ტესტი XX

სამოქალაქო სამართლის პრინციპებია:

ა. კანონიერება, ძალის გამოუყენებლობა.

ბ. კერძო ავტონომია, მხარეთა თანასწორობა, ქონებრივი განკერძოებულობა, უფლების განხორციელების კეთილსინდისიერება, ხელშეკრულების თავისუფლება, აუკრძალავის დაშვებულობა.

გ) სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა, კანონიერება, კერძო ავტონომიის გამორიცხვა და სახელმწიფო ინტერესების განხორციელება, ხელისუფლებათა დანაწილება.

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი.